

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ო კ მ ი №10

ქ. თბილისი,

24 დეკემბერი, 2015 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. საბჭოს თავმჯდომარე: ჯ. მაგანია – რექტორი, პროფესორი.
2. საბჭოს მდივანი: ნ. ქოჩაკიძე – პროფესორი.
3. გ. ზუბიტაშვილი – პროფესორი.
4. დ. ხაჩიძე – ასოცირებული პროფესორი.
5. კ. ხვედელიძე – ასოცირებული პროფესორი.
6. ე. ფეროიანი – ასოცირებული პროფესორი.

**დღის წესრიგი:**

1. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის პროფ. გ. ფარულავას ანგარიში (შუალედური გამოცდის შედეგები, მომზადება დასკვნითი გამოცდებისათვის, სწავლის საფასურის გადახდის მდგომარეობა, დავალიანების მქონე სტუდენტებთან მუშაობის შესახებ).
2. მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის პროფ. ტ. გულბიანის ანგარიში (შუალედური გამოცდების შედეგები, მომზადება დასკვნითი გამოცდებისათვის, სწავლის საფასურის გადახდის მდგომარეობა, დავალიანების მქონე სტუდენტებთან მუშაობის შესახებ).
3. ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად დებულების განხილვა–დამტკიცება. მომხს. პროფ. ჯ. მაგანია.
4. 2015-2016 სასწავლო წლის მეორე (საგაზაფხულო) სემესტრის ბიუჯეტის განხილვა – პროფ. ჯ. მაგანია.
5. მაგისტრატურაში 2015-2016 სასწავლო წელს მიღების შესახებ – პროფესორი მ. მნათობიშვილი.
6. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხის და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ (ჯ. მაგანია)
7. მიმდინარე საკითხები.

**მოისმინეს:** ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის პროფ. გ. ფარულავას ანგარიში (შუალედური გამოცდების შედეგები, მომზადება დასკვნითი გამოცდებისათვის, სწავლის საფასურის გადახდის მდგომარეობა, დავალიანების მქონე სტუდენტებთან მუშაობის შესახებ) ანგარიში თან ერთვის ოქმს (დანართი 1).

**დაადგინეს:** ფიზ. მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის პროფ. გ. ფარულავას ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად. დადგეს საკითხი სტუდენტ ნ. აბელაშვილისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო.

**მოისმინეს:** მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის პროფ. ტ. გულბიანის ანგარიში (შუალედური გამოცდების შედეგები, მომზადება დასკვნითი გამოცდებისათვის, სწავლის საფასურის გადახდის მდგომარეობა, დავალიანების მქონე სტუდენტებთან მუშაობის შესახებ) ანგარიში თან ერთვის ოქმს (დანართი 2).

**დაადგინეს:** მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის პროფ. ტ. გულბიანის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად. დეკანების მიერ გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

**მოისმინეს:** ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად დებულების განხილვა-დამტკიცება. მომხსენებელმა პროფ. ჯ. მაგანიამ დებულების შესახებ ისაუბრა მუხლობრივად.

**დაადგინეს:** ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად დებულება დაურიგდეს საბჭოს თითოეულ წევრს და მიეცეთ მათ დრო გულდასმით განსახილველად. დასამტკიცებლად გამოტანილი იქნას საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

**მოისმინეს:** 2015-2016 სასწავლო წლის მეორე (საგაზაფხულო) სემესტრის ბიუჯეტის განხილვა. ბიუჯეტი თან ერთვის ოქმს (დანართი 3).

**დაადგინეს:** 2015-2016 სასწავლო წლის მეორე (საგაზაფხულო) სემესტრის ბიუჯეტი მიღებულ იქნას ცნობად.

**მოისმინეს:** მაგისტრატურაში 2015-2016 სასწავლო წელს მიღების შესახებ ინფორმაცია გააკეთა პროფ. მ. მნათობიშვილმა.

**დაადგინეს:** მაგისტრატურაში 2015-2016 სასწავლო წელს მიღების საქმიანობა დაევალოს პროფ. მ. მნათობიშვილს.

**მოისმინეს:** რექტორმა, პროფ. ჯ. მაგანიამ საბჭოს წარუდგინა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის 2015/2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის გეგმა.(თან ერთვის)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საშტატო ნუსხა და ხელფასების ოდენობა მიღებულ იქნას ცნობად და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

**მოისმინეს:** მიმდინარე საკითხებში პროფ. გ. ზუბიტაშვილმა საბჭოს წარმოუდგინა მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო.

**დაადგინეს:** შეიქმნას მეთოდური საბჭო უმაღლეს სასწავლებელში შექმნილი სასწავლო-მეთოდური ნაშრომების განსახილველად და დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი:



ჯემალ მაგანია

სხდომის მდივანი, პროფესორი:

ნინო ქოჩაკიძე